ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3348426

ნომერი: AR1515068

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 23.06.2017

გაცნობის თარიღი : 23.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 157

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, პირველ რიგში საჭიროა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებით დადგენილ 16/05/2016, № 2577761 ბრძანებაში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება.

2. ასევე, ვინაიდან თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ექცევა სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოადგინეთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

3. დამატებით წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმაზე დატანილი საპროექტო სამუშაოები ექსპლიკაციის მითითებით და გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს თქვენ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. იმ შემთხვევაში თუ ხდება აღნიშნული სამუშაოების განხორციელება საკადასტრო საზღვრებს გარეთ, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრეთა სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.

4. საპროექტო გენგეგმაზე დაიტანეთ ზომები და საკადასტრო საზღვრებთან მიბმის მანძილები, ხოლო ფოტომონტაჟზე ნიშნულები.
5. ვინაიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან ჯონი ლასარეიშვილი და სერგო ლასარეიშვილი საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული მინდობილობა რომელიც ორივე დირექტორის მიერ იქნება გაცემული, ან ასევე შესაძლებელია წარმოადგინოთ დოკუმენტი, რომ ცალ-ცალკე აქვთ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.